**ხელშეკრულება საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N132002969/17**
**(შემდგომში - საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება)** 1430

ქ. ბათუმი 30 დეკემბერი 2016 წელი

**1. ხელშეკრულების მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| **1.1.** | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | ს.ს. „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.1.2. | იურიდიული მისამართი: | ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა; |
| 1.1.1.3. | | |
| 1.1.1.4. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.1.4.1. | სახელი და გვარი: | ლევან ტაბიძე; |
| 1.1.1.4.2. | თანამდებობა/სტატუსი: | სერვის ცენტრის მენეჯერი; |
| 1.1.1.5. | საკონტაქტო მონაცემები: | |
| 1.1.1.5.1. | საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: | ლევან ტაბიძე; |
| 1.1.1.5.2. | თანამდებობა/სტატუსი: | სერვის ცენტრის მენეჯერი; |
| 1.1.1.5.3. | ტელეფონი: | (+955 32) 2444444; |
| 1.1.1.5.4. | | |
| 1.1.1.5.5. | ელფოსტა: | ltabidze@bog.ge. |
| **1.2.** | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; |
| 1.2.1.1. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 245631632; |
| 1.2.1.2. | იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი: | ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 23. |
| 1.2.1.3. | | |
| 1.2.1.4. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.1.4.1. | სახელი და გვარი: | ავთანდილ გეგენავა; |
| 1.2.1.4.2. | პირადი ნომერი: | 61003001580; |
| 1.2.1.4.3. | თანამდებობა/სტატუსი: | სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მ/შ; |
| 1.2.1.5. | საკონტაქტო მონაცემები: | |
| 1.2.1.5.1. | საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: | მამუკა ახალაძე; |
| 1.2.1.5.2. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორი; |
| 1.2.1.5.3. | ტელეფონი: | (+995 422) 27 49 25 |

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. **მხარეები**, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **კანონმდებლობის** შესაბამისად დებენ **ხელშეკრულებას** (მათ შორის **საერთო პირობებს**), რომლის საფუძველზეც **ბანკი** გაუწევს **კლიენტს საბანკო პროდუქტით** მომსახურებას, რის სანაცვლოდაც **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **ბანკს საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულებითა** და **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**3. საბანკო მომსახურების პირობები**

| | | |
|---|---|---|
| 3.1. | სახელმწიფო შესყიდვის კოდი: | CPV 66100000 |
| 3.2. | **საკომისიოს** ჯამური მოცულობა: | 200 (ორასი) ლარი **დანართი N**ა-ს შესაბამისად; |
| 3.3. | **ხელშეკრულების** ვადა: | **მომსახურების** მიწოდების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით ხოლო **ხელშეკრულების** ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით. |
| 3.4. | სხვა პირობები: | 1. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილ იქნება ისეთი მომსახურება/**ოპერაცია**, რომლის გაწევითაც/განხორციელებითაც გადაჭარბებულ იქნება წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 3.2. პუნქტში** მითითებული ჯამური მოცულობა, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განაცხადოს უარი ნებისმიერი შესაბამისი მომსახურების გაწევაზე/**ოპერაციის** განხორციელებაზე; |

**4. ხელშეკრულების საერთო და დამატებითი პირობები, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები**

4.1. **ხელშეკრულების საერთო პირობები** დადგენილია **დანართით - საერთო პირობები**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. **დამატებითი პირობები** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ასახულია **დანართი N**ა-ში, რომელიც ასევე წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

4.2. **ხელშეკრულების** ხელმოწერით **კლიენტი** ადასტურებს, რომ:

4.2.1. იგი გაეცნო **საერთო პირობების** შინაარსს და მიიღო ეს პირობები;

4.2.2. **საერთო პირობების** შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება;

4.2.3. **საერთო პირობების** შინაარსი არ ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და შესაბამისად არ არის საზიანო მისთვის.

4.3. **მხარეები** თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ:

4.3.1. წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, საერთო პირობები** და **დანართ(ებ)ი** (**დამატებითი პირობების** (**დანართი N**ა) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) წარმოადგენენ ერთ მთლიან შეთანხმებას **მხარეთა** შორის;

4.3.2. წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, საერთო პირობებსა** ან/და **დანართ(ებ)ს** (**დამატებითი პირობების** (**დანართი N**ა) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება:

4.3.2.1. პირველ რიგში, **დანართ(ებ)ს** (**დამატებითი პირობების** (**დანართი N**ა) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით). ამასთან, **დამატებით პირობებსა** (**დანართი N**ა) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ს** შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება **დამატებით პირობებს** (**დანართი N**ა);

4.3.2.2. შემდეგ წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას** (**საერთო პირობების** და **დანართ(ებ)ის** (**დამატებითი პირობების** (**დანართი N**ა) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) გარეშე);

4.3.2.3. და ბოლოს, **საერთო პირობებს**.

4.4. **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარ, **ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**.

**5. პრეტენზიები და დავები**

5.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად **ხელშეკრულების საერთო პირობების** შესაბამისად.

5.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება



კლიენტის ხელმოწერა /_______________/

მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.3. მიუხედავად, **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 5.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს **მუდმივმოქმედ არბიტრაჟს**. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში, ხოლო სადაო საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს **მუდმივმოქმედ არბიტრაჟს**, ან მის სამართალმემკვიდრეს. საარბიტრაჟო განხილვა მოხდება **საერთო პირობების 9.4. პუნქტში** მოცემული დებულებების შესაბამისად.

6. **მხარეთა ხელმოწერები**

ბანკი

კლიენტი

კლიენტის ხელმოწერა

# საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი Nა - დამატებითი პირობები
**132002969/17 - 001**

ქ. ბათუმი | 30 დეკემბერი 2016 წელი

1. **მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | სს „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.1.2.1. | სახელი და გვარი: | ლევან ტაბიძე; |
| 1.1.1.2.2. | თანამდებობა/სტატუსი: | სერვის ცენტრის მენეჯერი. |
| 1.2. | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო): | სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; |
| 1.2.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 245631632; |
| 1.2.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.1.2.1. | სახელი და გვარი: | ავთანდილ გეგენავა; |
| 1.2.1.2.2. | პირადი ნომერი: | 61003001580; |
| 1.2.1.2.3. | თანამდებობა/სტატუსი: | სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მ/შ; |

2. **მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

2.1. **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არსებულ ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის ოდენობა და მისი დარიცხვის პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

2.1.1. **კლიენტის #GE49BG0000000621686702GEL ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ ვალუტაში არსებულ ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა შეადგენს 10 %-ს.%-ს.

2.2. წინამდებარე **დანართის** 2.1 **პუნქტით** განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ყოველი კალენდარული დღის ბოლოს ანგარიშზე ფაქტობრივად არსებულ ნაშთზე, წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით.

2.3. წინამდებარე **დანართის** 2.1 **პუნქტით** განსაზღვრული, დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადაირიცხება სახელმწიფო **ხაზინაში** ყოველი თვის ბოლო **საბანკო დღეს** ან შესაბამისი იმდინარე ანგარიშის დახურვისას.

2.4. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე შეცვალოს წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული, **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე არსებულ ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის ოდენობა ან/და საპროცენტო სარგებლის დარიცხვის/გადახდის პირობები. ამ **პუნქტით** განსაზღვრული ცვლილების შესახებ **ბანკი** არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე აცნობებს **კლიენტს**.

2.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** ქვემოთ მოცემული **საბანკო პროდუქტით**/მომსახურებით ისარგებლებს ქვემოთ მოცემული **საკომისიოს** შესაბამისად, **ხოლო** ის **საკომისიო**, რომლებიც არ არის მოცემული წინამდებარე **დანართში**, განისაზღვრება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით:

| საბანკო პროდუქტი/მომსახურება | საკომისიო | საკომისიოს მოქმედების ვადა |
|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიშის გახსნა | უფასო | |
| ანგარიშის მომსახურება | 10 ლარი წელიწადში | |
| მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში "საქართველოს ბანკის" სისტემაში | უფასო | |
| მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ | 0,5 ლარი | |
| მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში "საქართველოს ბანკის" სისტემაში | უფასო | |
| მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ | 20 აშშ დოლარი | |
| მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ, მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით | 0,3%, მინ. 25 აშშ დოლარი და მაქს. 500 აშშ დოლარი | |

2.6. წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული **საკომისიო** იმოქმედებს წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული ვადით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ **საკომისიო** განისაზღვრება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით.

**მხარეთა ხელმოწერები**

**ბანკი** /

**კლიენტი** /

კლიენტის ხელმოწერა /